საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2946-02
28/09/2018

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2018 წლის 19 ივლისის N2019-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივლისის N8 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2018 წლის 19 ივლისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" N2019-02 ბრძანების მე-7 პუნქტში, კონკურსის შედეგი გამოცხადდეს 2018 წლის 8 ოქტომბერს, ნაცვლად 2018 წლის 21 სექტემბრისა და შესაბამისად, ცვლილების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. კონკურსის შედეგი გამოცხადდეს 2018 წლის 8 ოქტომბერს."

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: სამართლის სკოლა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი